პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

8 ოქტომბერი

შაბათი

1917. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ტროცკი.

1897 ებრაელურ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა პირველი ყრილობა ვილნაში და საყოველთაო ებრაელურ კავშირის ბუნდის დაარსება.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დღიური

7 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის ალკ. კომიტეტის მე-4 სესია; მთავარი საკითხები: სასურსათო გადასახადი, ბრძოლა შიმშილთან, შრომის ბეგარა.

მუშათა გაფიცვები იტალიასა და გერმანიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 180 შაბათი, 8 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 8 ოქტომბერი, 1921 წ. № 180

მისაბაძი მაგალითი

ჩვენი დაწესებულებების ერთი სახიფათო სენი, რომელსაც შეუძლია დიდ საშიშროებათ გადაიქცეს და გააბრუნდოს მათი მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა, დაუკარგოს მათ ყოველგვარი სიცოცხლის ნიშანწყალი—არის ბიუროკრატიზმი. ხოლო არაფერი ისე არ კვებავს და ასაზრდოებს ამ სენს, როგორც „კარჩაკეტილობა“ დაწესებულების, მისი დაშორება საზოგადოებრივი—ჩვენ შემთხვევაში მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივ—კონტროლისაგან. რაც უფრო დაწესებულება დაშორებულია ამ კონტროლს, რაც უფრო ნაკლებათ იცნობს დაინტერესებული საზოგადოებრივი წრეები მის მუშაობის მიმდინარეობას, მის პრაქტიკულ გეგმებს, მის მიერ გავლილ გზას ან იმას, რაც კიდევ გასაკეთებელი რჩება, ერთი სიტყვით რაც უფრო, ასე ვსთქვათ, გამოუმზეურებელი რჩება ნაკლი ამ მუშაობის, ან მისი დადებითი მხარეები, მით უფრო ადვილათ იბადება ტენდენცია უმოქმედობის, უსიცოცხლობის, უენერგიობის, საერთო სირბილის და მთელი საქმის მიდუნების. ამ სენმა და მის მიერ გამოწვეულმა ჩამოთვლილმა შედეგებმა თავი იჩინეს თავის დროზე რუსეთში და იგივე ემჩნევა რამოდენიმეთ ჩვენშიაც, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი დაწესებულებების მუშაობის დრო განისაზღვრება მხოლოდ რამოდენიმე თვით. ამ სენს რუსეთში თავიდანვე მიაქციეს ამხანაგებმა ყურადღება და მის წინააღდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა მანამ, სანამ სავალდებულო არ შეიქნა და პრაქტიკამ არ განამტკიცა ის ვალდებულება, რომ თითოეული პასუხსაგებ პოსტზე მდგომი ამხანაგი დროგამოშვებით თავის მოღვაწეობის ანგარიშით უნდა წარსდგეს თავის ამომრჩევლების წინაშე იმ რაიონში ან მოღვაწეობის იმ დარგში, რომელშიაც ის არის ჩაბმული, რომ ესა თუ ის დაწესებულება ისევე დროგამოშვებით უშვებს თავის ამა თუ იმ პერიოდის მოღვაწეობის ანგარიშს სასოფლო, სამაზრო, საგუბერნიო თუ სახელმწიფოებრივ მასშტაბში და მით საშუალებას აძლევს დაინტერესებულთ თვალყური ადევნონ საქმეების მიმდინარეობას, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი კრიტიკის საშუალებით, მათი სუსტი მხარეების გამოსწორებას და უკეთესისათვის მითითებას. ამნაირათ ჩვენ მოწმენი ვხდებით რუსეთის საბჭოთა მოღვაწეობის პრაქტიკაში დასაბუთებული, ფაქტიური მასალით სავსე, მოღვაწეობის განვლილი გზის და მომავალი პერსპექტივების გამთვალისწინებელი, ანგარიშების სისტემის გატარების, რომელთა საშუალებით ადვილი ხდება დაინტერესებულთა ორიენტაცია მიმდინარე ცხოვრების აღმშენებლობის მრავალ მხრივ და მრავალ ფეროვან საერთო მუშაობაში. ამ მაგალითს უნდა წაბაძონ ჩვენმა დაწესებულებებმა, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრში, ჩვენმა სახკომისარიატებმა. ორიოდე ბიულეტენი, რომელიც გამოდის ამ ჟამათ, არ არის საკმაო. ის შემთხვევითი, უსისტემო და სხვა და სხვა, ერთმანეთზე ძალიან დაშორებული დროის შესახები მასალა, რომელიც იბეჭდება იქ, ვერ იძლევა გარკვეულ და ერთიან სურათს ამა თუ იმ უწყების მოღვაწეობისას, ხოლო საჭიროა კი სწორეთ ასეთი სურათი საქმის საერთო მიმდინარეობის და არა ამა თუ იმ მისი დარგიდან შემთხვევით ამოგლეჯილი ფაქტი, რომელიც თავის თავათ შეიძლება ძალიან საინტერესო იყოს, მაგრა სათანადოთ შეუჯგუფებლათ სხვა ანალოგიურ მაგალითებთან და მოკლებული რაიმე სისტემას, ვერ იძლევა საჭირო ინფორმაციას მუშაობის საერთო ხაზზე და მის მიმდინარეობაზე.

ასეთი ანგარიშის ცდას, რამოდენიმეთ სუსტს გასაგები მიზეზების გამო, იძლევა ამ დღეებში ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი მოკლე მიმოხილვა ჩვენი მუშურ გლეხური ინსპექციის მოღვაწეობის. ეს ანგარიში კიდევ არ არის ის, რაც საჭიროა, როგორიც უნდა იყოს ის ჩვენი წარმოდგენით. ყოველ შემთხვევაში ნაბიჯი გადადგმულია და სასურველია რომ ამ მიმართულებით ცდა გაგრძელდეს, რათა ჩვენ მივიღოთ ყოველმხრივ გაშუქებული, დასაბუთებული ანგარიშები ჩვენი ცენტრალური დაწესებულებების მოღვაწეობის შესახებ. ჩვეულებამ შემოიღო ასეთი ანგარიშები, განზრახული მიზნით ამა თუ იმ უწყების მოღვაწეთა საზოგადო ყრილობებისათვის წარსადგენათ. ეს ბუნებრივია და ძალიან კარგიც. ხოლო საჭიროა რომ ანგარიშები ასეთივე გეგმით, შედგენილი, მგრა, ბუნებრივია, შემოკლებული დროის შესახები და უფრო ნაკლები მასალით ვინემ არის ჩვეულებრივ ყოველ წლიური ან ნახევარ წლიური, რომ ასეთი ანგარიშები ქვეყნდებოდეს შეძლებისდაგვარათ ხშირათ. ჩვენ ვიცით რომ ამისთვის საჭიროა ერთგვარი უწყებრივი სიზანტის დაძლევა და ბევრი სხვა დაბრკოლებებისაც მაგიერათ ამით გაკეთდება დიდი საქმე და რაც უმთავრესია, დასუსტდება და დამარცხდება ცოცხალი საქმისათვის მომაკვდინებელი ბიუროკრატიზმი.

რუმინია

რუმინია—ეს ერთი იმ „პატარა“ და, რასაკვირველია, „დამოუკიდებელ“ ქვეყნათაგანია, რომელიც შედის შემადგენელ ნაწილათ მცირე ანტანტათ წოდებულ, „საღვთო კავშირში“, რომელიც „მოწოდებულია“ მსოფლიო იმპერიალიზმისა და თავის გაბატონებული კლასების სასარგებლოთ გამოვიდეს რევოლიუციონური ხალხების ჯალათათ კონტინენტზე. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, საკმაო იქნება მოვიგონოთ ის როლი, რომელიც ითამაშა მან უნგრეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და უნგრეთის რევოლიუციონური მუშებისა და გლეხების გასრესაში, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ქვეყნის დღევანდელ მესვეურებზე და იმ დავალებაზე, რომელიც შეუძლია აიღოს მან დღესაც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლის დროს. ასეთი მისი ჯალათური როლის შესახებ არ ვტყუვდებით ჩვენ, არ ტყუვდებიან არც ჩვენი ჩრდილოელი ამხანაგები. მუშურ-გლეხური რუსეთი და ევროპაც გაცნობილია იმ ფაქტს, რომ პოლონეთთან ერთად ანტანტა და კერძოთ საფრანგეთი სისტემატიურათ აიარაღებს რუმინიასაც რუსეთის წინააღმდეგ. კერძოთ პოლონეთთან შეკრულია ის შეტევით-თავდაცვითი სამხედრო კონვენციით, რომელიც უცდის მოხერხებულ შემთხვევას გატარდეს ცხოვრებაში. ეს ხალხის საკულტათ გამზადებული „მახინა“ არის დღეს კბილებამდე აღჭურვილი, პირშემობრუნებული რუსეთისაკენ მის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე და იმპერიალიზმის და რეაქციის ცოფნაკრავ „ბოიარების“ ხელში უცდის უნგრეთის შემდეგ მორიგი ჯალათობის ჩადენას. მიუხედავათ მისი დღევანდელი ბატონების პირმოთნეობითი რწმუნებისა, რომ ის განსჭვალულია საბჭოთა რუსეთის მიმართ კეთილმეზობლური მშვიდობიანი განწყობილებით, რაზედაც ირწმუნებოდა უკანასკნელ დღეებში რადიოები ბუხარესტიდან, მიუხედავათ ამისა რუსეთის მოსაზღვრე რუმინიის ტერიტორია, მსგავსათ პოლონეთისა, შეიქნა ბანდიტ პეტლიურას ბრბოების საოპერაციო ბაზათ, საიდანაც ისინი ახდენენ სისტემატიურ დაცემას უკრაინაზე, ძარცვა გლეჯას და ხალხის ნაოფლარი სიმდიდრის განადგურებას. რუმინია ბოროტ განზრახვით აჭიანურებს დღემდი იმ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას რუსეთთან, რომელიც განზრახული იყო ვარშავაში და რომელზედაც ერთხელ უკვე განაცხადა მისმა მთავრობამ თავისი პრინციპიალური თანხმობა. მიზანი იყო და არის: მოლაპარაკების გადადებით დრო მოიგოს თავისთვის გამოსადეგი მომენტის მოლოდინში, იმ შემთხვევისთვის თუ საფრანგეთს მიერ რუსეთზე წასისიანებული პოლონეთი ცეცხლს გააჩენს პირველათ, რომ მანაც თავისი „საკადრისი“ ადგილი დაიკავოს რუსეთის საწინააღმდეგო საომარ კამპანიაში. რუსეთ—პოლონეთის დიპლომატიურმა დუელმა ამ დღეებში და ამხ. ჩიჩერინის ენერგიულმა გამოსვლამ თავის გავლენა მოახდინა სხვათა შორის რუმინიაშიაც და რამოდენიმეთ შეანელა მისი ავანტიურისტული ცხელება. მაგრა ეს რასაკვირველია ვერ შეასუსტებს იმ სიფრთხილეს და ყოველგვარი შესაძლებლობისთვის სამზადისს, რომელიც სწარმოებს რუსეთის წითელ ჯარში. როგორც იქნა უამრავ სამხედრო ფრონტებიდან თავდაღწეული, მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობაზე გადასული, საბჭოთა ფედერაცია გამსჭვალულია დღესაც, როგორც იყო ამდენხანს ის გამსჭვალული, მეზობლებთან მშვიდობიან ურთიერთობის აზრით. გარდა ამისა მისთვის ჩამოშლილისათვის შიმშილით შექმნილ შინაურ სიძნელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთად ერთი სასურველი მდგომარეობა არის ზავი და შრომა, რათა მოღონიერებულმა გააგრძელოს მან ძველ ეკონომიურ ურთიერთობათა ნგრევა და ახლის შენება. მაგრა თუ მოიძებნებიან პროვოკატორები, რომლებიც ეცდებიან მას ათასი საქმეებით დატვირთულ ხელებში, ის დაუმტკიცებს ქვეყნიერებას, რომ კვლავ უძლეველ გმირათ სდგას მსოფლიო რევოლიუციის სადარაჯოზე და ადრინდელათ განაგრძობს მონათმფლობელ ქვეყნიერებისთვის სამარის თხრას. ამის თავდებია წარსული გამარჯვებანი მისი იარაღის და სიმტკიცე მისი დღევანდელი სამხედრო ძალების. ამ შემთხვევაშიაც, როგორც წინეთ, მის მხარეზე იქნება მთელი რუსეთის პროლეტარიატი და გლეხკაცობა, მასთან იქნება მსოფლიოს რევოლიუციონური პროლეტარიატი კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

კომინტერნის მესამე კონგრესი

12 ივლისის სხდომა.

ამხ. ზინოვიევი ხსნის კონგრესის სხდომას. სიტყვა ეძლევა ამხ. ტომ მანს, ინგლისის მუშათა მოძრაობის ერთ საუკეთესო ბელადს, რომლის სიტყვის შემდეგ გამოდის მთელი რიგი ორატორების კოლონიების საკითხის შესახებ.

ტ. მანი, რომელსაც ეგებებიან ცხარე ტაშით, არაჩვეულებრივი ორატორული ხელოვნებით მოუთხრობს კონგრესს იმ პირმოთნეობაზე, რომლითაც გაჟღენთილია ეგრედ წოდებული „თავისუფალი“ ინგლისი და თავის მოკლე მოხსენებით სიტყვაში დაგმო ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკა კოლონიებში. იმან სთქვა შემდეგი:

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მოგმართოთ თქვენ მოკლე სიტყვით აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. ჩემთვის მით უფრო სასურველია ამაზე ლაპარაკი, რომ მე გავკვრით მოვისმინე შენიშვნა, რომ ინგლისი თავისუფალი ქვეყანაა. მე დიდად მოწადინებული ვარ დაგიმტკიცოთ თქვენ, რომ ინგლისი თავისუფალი ქვეყანაა, და რომ იქ არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ პროლეტარიატსაც აქვს მეცნიერული საკითხების შესწავლის სრული შესაძლებლობა. ნება დართულია იცოდეს პროლეტარიატმა, რა იყო ათასი წლის წინად, აგრეთვე ისიც როგორ შეიძლება შეიცვალოს ორთქლის მანქანა ნავთის მამოძრავებლად. სწორეთ აგრეთვე ნება დართულია შეისწავლოს სოციოლოგია და გაბატონებულ და დამორჩილებულ კლასთა შორის ურთიერთობანი. მას ნება მისცეს შეისწავლოს აგრეთვე ეინშტეინის ფილოსოფია, მაგრამ ის ნება დართულია იმდენათ, რამდენათაც ის არ იღებს გადამჭრელ ზომებს თავის განთავისუფლებლათ გაბატონებულ კლასის ხელისუფლებისაგან. მუშებს არწმუნებენ, რომ ისინი უნდა ამაყობდნენ იმით, რომ ინგლისი ვეებერთელა სახელმწიფოა. მაგრამ განა იმაშია ინგლისის თავისუფლება —ამბობს ამხ. მანი,—რომ ამ „თავისუფლების“ ქვეყნის შვილები ვერ იღებენ ვერასოდეს საკმაო საჭმელს და ტანისამოსს? ავიღოთ მაგალითისათვის ინდოეთი: 320 მილ. მოსახლეობიდან 200 მილიონი იმყოფება არა მარტო ბრიტანეთის, როგორც სახელმწიფოს სრულ მფლობელობაში, არამედ კიდევ მეტი, ადამიანთა პატარა ჯგუფის მფლობელობაში. ბრიტანეთის გაბატონებული ბურჟუაზია ანხორციელებს თავის ხელისუფლებას არა მარტო დიქტატურის საშუალებით, არამედ ტყვიისმფრქვევლების დახმარებითაც. ჩვენ ვებრძვით ამ ტირანიას და ვცდილობთ შევუერთდეთ ამ ბრძოლაში თვით ინდოეთის ჯერ კიდევ მცირერიცხოვან რევოლიუციონურ ჯგუფებს იმისათვის, რომ განვათავისუფლოთ ბრიტანეთის მიერ დამონებული ხალხები. იგივე, რაც ინდოეთში, ეგვიპტეში ხდება, არის ინგლისშიც, შოტლანდიაშიც და უელსშიც, სადაც ბურჟუაზიის ბატონობამ მიაღწია უმაღლეს წერტილს. ვიბრძვით რა მთელი ჩვენი ენერგიით ბრიტანეთის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, ჩვენ არ ვუშვებთ ერთ შემთხვევასაც, რომ დავეხმაროთ სხვა ხალხების განთავისუფლებას. ვიწრო ნაციონალისტური მოძრაობას არ ძალუძს მიაღწიოს იმ სიძლიერეს, რომელსაც მსოფლიო პლუტოკრატიამ მიაღწია. ამ რისთვის უნდა შევუწყოთ ხელი ამ მოძრაობის გაღრმავებას იმ აზრით, რომ რევოლიუციონური მოძრაობა სხვადასხვა ქვეყნებში მოექცეს ერთ კალაპოტში. მართალია ბრიტანეთის პლუტოკრატია არა მარტო ჩაგრავს ხალხებს კოლონიებში, არამედ მას აქვს გაუჯეჯესებული აპარატი აღმოსავლეთის ხალხების დასაჩაგრავად. მაგრამ თავისუფლების სული იზრდება და ძლიერდება, და ჩვენ დაჩაგვრის წინააღმდეგი ვართ, როგორც შინ, ისე ახალშენებში; მალე დადგება დრო, როცა ევროპის ქვეყნები გაიგებენ ისეთ კრიზისს, რომ რუსეთის მაგალითს ბევრი ქვეყნები გაყვებიან. ყოველგან ისმის მოსკოვის ზარების რეკის ხმა, რომელიც მოუწოდებს და უჩვენებს ხალხებს გზებს ნამდვილ ხსნისაკენ. ჩვენ, როცა დავბრუნდებით სახლში, გავაძლიერებთ იმ დიად მუშაობას, რომელსაც აქ აწარმოებდნენ. ჩვენ ამ ამბავს გავავრცელებთ შორიდან შორამდე და მუშაობას გავაღრმავებთ, რომ ამის შესახებ გაიგონ ჩვენი ქვეყნის მუშათა მასებმა.

ამის შემდეგ გამოდის სულეიმან-ნური (ანგორა), რომელიც ოსმალეთის კომუნისტური პარტიის სახელით უამბობს კონგრესს იმ მუშაობასა და განმათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობის შესახებ ანატოლიაში, რომლისათვისაც იარაღით ხელში იბრძვიან ანატოლიის მუშები, გლეხები და კომუნისტები. ომამდის ოსმალეთის ხალხი, რომელიც, როგორც ყოველგან, შესდგებოდა მუშებისა და გლეხებისაგან, სცხოვრობდა ოსმალეთის სულთანების და ფაშების უღელ ქვეშ, რომელთაც ჩაითრიეს ისინი ომში მათი ნებისყოფის და სურვილების წინააღმდეგ. მაგრამ ომის დროს ოსმალეთის მუშებმა და გლეხებმა, რომელთაც ჩააცვეს ჯარისკაცის ტანისამოსი და მოიარეს სხვადასხვა ფრონტები, გაიგეს რა არის იმპერიალისტური ბრძოლა. და აი ისინი, ანატოლიის მუშები აჯანყდნენ ანტანტის მტარვალობის წინააღმდეგ. მაგრამ ამ მოძრაობის სათავეში ჩადგნენ ისევ ფაშები ქემალფაშა, თუმცა ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელობს, მაგრამ მართავს ქვეყანას ისე, როგორც ძველად სულთანჰამიდები. ქემალი აწარმოებს ბრძოლას ანტანტის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ის ებრძვის კომუნისტებსაც, ვინაიდან მას ეშინია, რომ უკანასკნელებმა არ გამოიყენონ განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკურ ხელისუფლების დასაპყრობად.

ოსმალეთის კომუნისტურ პარტიასთან ბრძოლის მიზნით, ფაშებმა მოაწყვეს ოფიციალური პარტია, რომელიც კომუნისტურ ლოზუნგების ქვეშ ამოფარებული ცდილობს ჩააქროს მოძრაობა ოსმალეთის მშრომელ მასებში. მაგრამ ქემალი ვერ შესძლებს ასკერების, გლეხების და მუშების მოტყუებას, რომლებიც სულ უფრო და უფრო თავს იყრიან ჩვენს კომუნისტურ პარტიის ირგვლივ.

ისინი მხარს დაუჭერენ ქემალის ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას იმ დრომდის, სანამ ის იქნება მიმართული ანტანტის წინააღმდეგ, რომელიც არის მუშათა მოძრაობის უძლიერესი მტერი. მაგრამ თუ ქემალი უღალატებს ასკერებს, ანატოლიის იგივე მუშები და გლეხები შეიარაღებული ძალით დაამხობენ მას. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს ანატოლიის კომუნისტური პარტია.

დასასრულს ამხ. სულეიმან—ნური კიდევ მიმართავს კონგრესს მოწოდებით, მხარი დაუჭირონ მათ. (ტაში).

შემდეგ სიტყვას იღებს **საბერძნეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი**, რომელიც ამბობს, რომ საბერძნეთი ანტანტის გაძლიერების გამო ჩაერია ომში უკანასკნელათ. მაგრამ არ იყო დათავებული ომი გერმანიასთან, რომ იგი ჩაითრიეს ოსმალეთთან ბრძოლაში. ამ ომის წარმოება შთააგონა საბერძნეთს, უმთავრესად, ინგლისმა, რომლის ინტერესებისთვის საბერძნეთის მუშა და გლეხი ღვრის სისხლს მცირე აზიის ველებში. საბერძნეთი სავსებით ანტანტის ბატონობის უღელის ქვეშ მოყვა და ამ ბოლო დროს ჩავარდა უმწეო ეკონომიურ მდგომარეობაში. საბერძნეთის ხალხს არ უნდა ომი, რაც სხვათა შორის მტკიცდება არმიიდან გაძლიერებული დეზერტირობითაც. გაქცეულია საბერძნეთის თითქმის ნახევარი არმია. საბერძნეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოიყენა ყოველივე შესაძლებლობა ხალხის მასების რევოლიუციონურ გზაზე დასაყენებლად და ამისათვის მას სასტიკად სდევნიდნენ და ეხლაც სდევნიან. ბურჟუაზია გვებრძვის ჩვენ, როგორც ერთად ერთ ძალას, რომელიც ეწინააღმდეგება მის იმპერიალისტურ ზრახვებს.

საბერძნეთის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ საბერძნეთის პროლეტარიატი და გლეხობა არავითარ მტრობას არ გრძნობს ოსმალეთის მუშებისა და გლეხების მიმართ. იმათი ინტერესები სავსებით ერთმანეთს ეთანხმებიან. იმათი მთავარი მტერი არის იმპერიალისტური ანტანტა და საკუთარი ბურჟუაზია. კომუნისტური პარტია ახმარს ყოველივე საშუალებებს იმისათვის, რომ ძმური კავშირი დამყარდეს ოსმალეთის, ბალკანეთის და მსოფლიო პროლეტარიატთან.

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა უკვე დაწვრილებით განიხილა აღმოსავლეთის საკითხი, და ჩვენ მას ვეთანხმებით მასში, რომ აწყამად ხელმეორედ ამ საკითხის განხილვის საჭიროება არ არსებობს.

სპარსეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამბობს, რომ ათი წლის განმავლობაში ეს ქვეყანა იყო რუსეთის ცარიზმის და ინგლისის იმპერიალიზმის კონკურენციის ასპარეზად. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის ჯარები გაიწვიეს სპარსეთიდან და ინგლისელებმა ისარგებლეს შემთხვევით და მოახდინეს ამ ქვეყნის ოკუპაცია: იმათმა შეისყიდეს მთელი სპარსეთის პური და გაზიდეს იქიდან, რამაც გამოიწვია უდიდესი შიმშილობა, რომლის მსხვერპლი შეიქნა 1918 წელს რამდენიმე მილიონი კაცი. ამან გამოიწვია საშინელი აღშფოთება ხალხში, და სიძულვილი ინგლისელ ოკუპანტების მიმართ შეიქმნა პოპულიარულ ლოზუნგათ სპარსეთის მოსახლეობის ფართო მასებში. იფეთქა აჯანყებების მთელმა რიგმა, მაგრამ სპარსეთის მთავრობამ ვერ შესძლო მათი ჩაქრობა.

ასეთია სპარსეთის უკანასკნელ ხანების მოკლე ისტორია. კომუნისტების მიერ ხელისუფლების ჩაგდების პროცესი ძნელია. ირანის კომუნისტური პარტია უთანხმებს თავის პროგრამა—მინიმუმს ჩამორჩენილ ქვეყნის ობიექტიურ პირობებს და პირველ რიგში აყენებს ისეთ ზომებს, რომელნიც გაათავისუფლებენ ქვეყნის საწარმოო ძალებს. ამხ. ზინოვიევი აცხადებს, რომ შემოვიდა შუამდგომლობა რევოლიუციონურ მუსულმანობის კომიტეტისაგან, რომელიც აღმოცენდა 1919 წ. და აწარმოებს მუშაობას სხვა და სხვა სამუსულმანო ქვეყნებში, რომ მას მიეცეს დეკლარაციის გამოქვეყნების საშუალება. ამხ. ზინოვიევი წინასწარ აცნობს რა კონგრესს, რომ ეს არ არის კომუნისტური პარტია, გამოითხოვს კონგრესისაგან ნებართვას.

რევოლიუციონურ მუსულმანობის კომიტეტის წარმომადგენელი აქვეყნებს დეკლარაციას.

შემდეგ **ამხ. ზინოვიევი** ამბობს, რომ კომინტერნმა დღიდან თავის არსებობისა გარკვეული ნათელი პოზიცია დაიკავა ნაციონალურ საკითხში. ჩვენ უნდა მხარი დავუჭიროთ ყოველ ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობას ყველა საახალშენო ქვეყნებში. ჩვენი ლოზუნგი არის: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხების დამონებულნო, შეერთდით“. მაგრამ ჩვენ ნიღაბი უნდა ჩამოვხსნათ ყოველ ნაციონალიზმს, რა ქუდქვეშიდაც უნდა იყოს იგი გახვეული და ვაწარმოოთ მასთან ბრძოლა. ქემალისტების ქვეყანაში ხომ იჭერენ კლავენ კომუნისტებს, როგორც სოციალ დემოკრატიულ გერმანიაში.

სიტყვა ეძლევა ამხ. **კასიანს**, საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელს. ამხ. კოლაროვი წინადადებას აძლევს კონგრესს მიესალმონ ძველ რევოლიუციონერს და მრავალ ტანჯულ ხალხის წარმომადგენელს. ომის დროს სომხებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი ბრძოლით მოიპოვებდნენ სიცოცხლის უფლებას, რომელიც მას წაართვეს ოსმალეთის ბაშიბუზუკებმა. ის დაეცა, როგორც თვით მოტყუილების მსხვერპლი. და ამის შემდეგ სომხის მშრომელმა კლასებმა მიმართეს საბჭოთა რუსეთს და სთხოვეს მას დახმარება, ისინი აუჯანყდნენ თავის ბურჟუაზიას და სოციალ პატრიოტულ დაშნაკებს და შექმნეს საბჭოთა სომხეთი. (ტაში).

სომხეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამხ. კასიანი, რომელსაც შეხვდნენ ცხარე ტაშით, ამბობს: ამხანაგებო, მთელს დედამიწაზე არ მოიპოვება კუთხე, სადაც იმპერიალისტები არ ჩადიოდნენ მაღალ ფრაზებში გახვეულ სისაძაგლეს და ბოროტებას. ერთ ასეთს კუთხეს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში სომხეთი. ანტანტის იმპერიალისტები და კერძოდ ინგლისი, ოქტომბრის რევოლიუციის დაწყებიდანვე, ცდილობდნენ სომხეთში შეექმნათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველი ბაზა. პირველად ეს ეგრედ წოდებული დამოუკიდებელი სომხეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა წვრილბურჟუაზიული დაშნაკების სოციალისტური პარტია, წარმოადგენდა ანტანტისათვის იარაღს და ატარებდა ცხოვრებაში ყველა მის განზრახვებს ქვეყნის ფართო მშრომელ მასების საზიანოდ. მეზობელ ხალხებთან მუდმივმა ომმა, ქვეყნის შიგნით სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებმა, მთავრობის სოციალურ-აგრარულ პოლიტიკის უკმაყოფილო მუშების და გლეხების წინააღმდეგ მიმართულმა დევნამ და რეპრესიებმა მიიყვანეს ქვეყანა დაღუპვის კარზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ნაციონალურ შეტაკებებს ბოლო მოეღო. სომხებმა და მუსულმანებმა დაიწყეს ცხოვრება, როგორც ძმებმა. განადგურებულ და დაღუპვის კარამდე მიყვანილ ქვეყანას, რა საკვირველია, არ შეეძლო თავისი საკუთარი ძალებით ქვეყნის მეურნეობის აღდგენა. დახმარება არსაიდან არ იყო მოსალოდნელი, ვინაიდან ჩვენ ბლოკადა გვეკეთა: ერთის მხრით, მენშევიკურმა საქართველომ და, მეორე მხრით, ოსმალეთის მთავრობამ. ჩვენ ამ გვარ გამოუვალ მდგომარეობით სარგებლობა განიზრახა ბოროტ-მოქმედმა კონტრ რევოლიუციონურმა დაშნაკურმა პარტიამ, ვინაიდან იგი მოელოდა ქართველ მენშევიკებისაგან დახმარებას, ჩვენ მაინც შევძელით მტრის დამარცხება, და საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა სომხეთში, უეჭველია, გამაგრდა. ერთად ერთი საშიშროება, რომელიც გვემუქრება, არის ოსმალეთი. ის ჩვენს საზღვარზე კიდევ იჩენს იმპერიალისტურ მიდრეკილებას. ჩვენ არ ვართ მისი მტრები, მაგრამ, მისი იმპერიალისტურ განზრახვების საპასუხოდ, სომხეთის მუშები და გლეხები იარაღით ხელში დაიცავენ თავის თავისუფლებას.

სიტყვა ეძლევა ამხ. ცხაკაიას (საქართველო). ის აღნიშნავს ქართველ მენშევიკების მოღალატურ როლს ჯერ კიდევ 1905 და 17 რევოლიუციონურ წლებში და განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და ჩერდება ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე 1921 წლ. თებერვალ—მარტის გადატრიალების წინა დღით.

— ბრესტ—ლიტოვსკის ხელშეკრულების უარყოფამ, იმპერიალისტებთან და ოსმალეთთან დამოუკიდებელმა ურთიერთობამ და მთელი ქვეყნის დამორჩილებამ ამბობს იგი,— ყველა ამან ბუნილა თვალები საქართველოს მუშებსა და გლეხებს. მენშევიკების ბურჟუაზიულ ფეოდალურ იმპერიალიზმს და ნაციონალიზმს ნიღაბი ჩამოეხსნა. ისინი უარყოფდნენ სამოქალაქო ომს და ამავე დროს იმპერიალისტებთან ერთად აწარმოებდნენ მას თავის მუშების და გლეხების წინააღმდეგ. სამოქალაქო ომი საქართველოში 17 წლის დასასრულიდან მის სოვეტიზაციის მომენტამდის, ე. ი. 1921 წლის თებერვალ—მარტამდის, უნდა ითქვას, სავსებით არადროს არ შეწყვეტილა. უკანასკნელ ხანაში მენშევიკები სულს დაფავდნენ, ისინი გაკოტრდნენ ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში და მიიყვანეს ქვეყანა სრულს დაღუპვამდის. და აი ხალხმა გაიღვიძა, საქართველოს ყოველ კუთხეში იფეთქა აჯანყებამ. იქ, სადაც ცარიზმი ომობდა 60 წლობით, წითელი არმია, რომელიც მიწვეული იყო აჯანყებულ მუშებისა და გლეხების მიერ, 60 დღის ნახევარიც არ მოანდომა. საქართველომ მიიღო საბჭოთა სისტემა მენშევიკების სრული გაკოტრების გამო. საწინააღმდეგო შეტაკებანი ეწინააღმდეგებიან ახლო წარსულის ყველა ფაქტებს და თვით მენშევიკების აღიარებას რამდენიმე კვირით წინ გადატრიალებამდის. იმის თქმა, რომ საბჭოთა რუსეთი მიისწრაფოდა დაპყრობად ან საოკუპაციოდ იმ დროს, როცა ის მთელი თავისი ძალებით ცდილობდა თავის მეურნეობის აღდგენას, შეუძლიათ მხოლოდ თეთრგვარდიელებს, თუ ბ. ბ. ჩხეიძე, წერეთელი და კომპ. ცდილობენ ეხლა დასავლეთ ევროპაში ისტორიული ფაქტები დაამახინჯონ და მოაჩვენონ, რომ მათ მოაწყვეს იდეალური დემოკრატიული სამეფო, სამოთხე, რომელიც მოიარეს მათმა მასწავლებლებმა, მეორე ყვითელი ინტერნაციონალის გმირებმა. ბ. ჟორდანია 1920 წლის ნოემბერ დეკემბერში, თითქმის გადატრიალების წინადღით, თავის მოხსენებებში ამბობდა, რომ მდგომარეობა კატასტროფიულია, რომ მათთვის არ არის გამოსავალი გზა, თუ ისინი არ აღმოაჩენენ რაიმე სასიცოცხლო წყაროს რაიმე სასწაულს.

შემდეგ ამხ ცხაკაია კიცხავს მენშევიკების ფლიდ მოქმედებას გადატრიალების შემდეგ დღეებში, როცა მათ გაძარცვეს მთელი ქვეყანა, წაიღეს იქიდან საფრანგეთის გემებით ყველაფერი, რაც დარჩა ამ უბედურ ქვეყანაში გერმანია-ოსმალეთის და ანტანტის იმპერიალისტების სამი ოთხი წლის თარეშის შემდეგ. იმათმა წაიღეს არა მარტო ოქრო, ბრილიანტები და სხვა ძვირფასეულობა, არამედ შაქრით დატვირთული უკანასკნელი ვაგონებიც, წაიღეს მთელი ქონება და ჩააგდეს განსაცდელში, მუშები და გლეხები, რომელიც მოელოდა მათ იქ მძვინვარე მალიარიისაგან თავის დასახსნელათ. ხალხი წყევლა კრულვით აცილებდა მათ, მათი 30 ათასიანი არმია დაიდა ბათუმში 3,500-მდის, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან, მიუხედავად იმისა, რომ დაპირდნენ მათ წინდაწინვე უზრუნველყოფას ხუთი წლის ჯამაგირით და ტანისამოსით, მაგრამ გაჰყვა მხოლოდ 20 კაცი. ეს ბატონები გაიპარნენ ბნელ ღამეს ნაძარცვები ხალხის ქონებით, ხალხის შურისძიებისაგან ლტოლვილებს იცავდა საფრანგეთის ზარბაზნები.

—ტყუილია თქვენი იმედები, უსუსურია თქვენი ღონის ძიებანი, ბ. ბ. ჟორდანია, ჩხეიძე და კომპ.—ათავებს ცხაკაია, მუშურ გლეხური საქართველო, ოთხი წლის სამოქალაქო ომით მორწყული, არ დაბრუნდება თქვენს ფრთის ქვეშ. ვერ გიშველით თქვენ ფაქტების დამახინჯება, ვერც ლოიდ-ჯორჯის, მილიერანის და პილსუდსკის კარებთან ხეტიალი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ძმურ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, კომუნისტურ

საქართველოს მრეწველობის მთავარი დარგების მდგომარეობის შესახებ

II.

საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობა მწვავე კრიზისს განიცდის, პირველ ყოვლისა, ნედლეულის უქონლობის გამო, ვინაიდან ეს მრეწველობა თითქმის მთლად საზრდოობდა შემოზიდული, და არა ადგილობრივი ნედლი მასალით. ახლა თუმცა მოხსნილია ყველა საბაჟო ზღუდეები, მაგრამ ეს საქმეს ნაკლებად უშველის, რადგან ამას ხელს უშლის როგორც სარკინიგზო ტრანსპორტის ნაკლებობა, ისე ნედლეულის უქონლობა მეზობელ რესპუბლიკებში, იქ ნედლეულის სათანადო დამზადება-ამოღების და წარმოების დაქვეითების გამო. დავიწყოთ თუ გინდ ჩვენი საპნის და ზეთის გამომხდელ ქარხნებიდან, რომელთაც თავისი რაოდენობით და მოწყობილობით შეუძლიათ აწარმოებით დააკმაყოფილონ არა მარტო საქართველო, არამედ ამიერ-კავკასიაც. თუმცა, როგორც—ქვემოდ მოყვანილ ცხრილიდან დავინახავთ, ეს ქარხნები არა უარესად მუშაობენ, ვინემ მენშევიკების დროს, მაგრამ მათი მომავალი სავალალოა, ნედლეულის ამოწურვის გამო.

საპნის წარმოება ქალ. თბილისის სახელმწიფოებრივ ქარხნებში 1921 წელს შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

უბრალო საპონი ფუთობით: იანვარი—631,27; თებერვალი—815,13; მარტი—1255,12; აპრილი—1163,07; მაისი—1499; ივნისი—808,06; ივლისი—536,20; აგვისტო—1584; ხელის (ტუალეტის) საპონი დუჟინობით: იანვარი—302; თებერვალი—[illegible] მარტი—1663; აპრილი—4188; მაისი—1878; ივნისი—797; ივლისი—[illegible] აგვისტო—772, ამ გვარად, აქედან ვხედავთ, რომ წარმოებამ, რო[illegible]ასეთმა, ქარხნებში იმატა. [illegible]დან დაწყებული უბრალო საპონი მზადდებოდა საშუალოდ 1140 ფუთი თვეში, ე. ი. იანვრის დამზადების 180 პროც. და თებერვლის—140 პროც., ხოლო ტუალეტის საპონი საშუალოდ 1704 დუჟინი თვეში, ან იანვრის დამზადების 564 პროც. და თებერვლის—207 პროცენტი.

ქალ. თბილისის სახელმწიფო ზეთის გამომხდელ ქარხნებში:

ბამბეულის ზეთი: იანვარი—არაფერი; თებერვალი—315; მარტი—არაფერი: აპრილი—160; მაისი—485; ივნისი, ივლისი და აგვისტო—არაფერი. სხვა და სხვა ზეთი: იანვარი—არაფერი. თებერვალი—150; მარტი—210; აპრილი—61; მაისი—142; ივნისი—61; ივლისი—220; აგვისტო—371. „ქიხა“: იანვარი—არაფერი; თებერვალი—1995; მარტი—1782; აპრილი—502; მარტი—950; ივნისი—371; ივლისი—1404; აგვისტო—2448. ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ქარხნების მუშაობა დამოკიდებული იყო ნედლეულის მარაგზე და ამიტომ წარმოების ნაყოფიერობის დაცემაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თუმცა, თებერვალთან შედარებით, სხვა და სხვა ზეთის ყოველთვიური დამზადება უდრიდა 213 ფუთს თებერვალში დამზადებულ 150 ფუთის წინააღმდეგ, ხოლო მზესუმზირას ქერქის ზეთისა—1244 ფუთს თებერვლის 1995 ფუთთან შედარებით.

უნდა ითქვას, რომ ზეთის სახდელი წარმოების კრიზისი განსაკუთრებით იმიტომაა საშიში, რომ ქვეყნებმა, რომლებიც ჩვენ წინად გვაწვდიდნენ ნედლეულს, როგორც სომხეთი და აზერბეიჯანი, მეტად შეამცირეს თავიანთი ერთ დროს ძლიერ განვითარებული ბამბის მოყვანა, და ამიტომ ჩვენ წინაშე დგას ამოცანა საკუთარი ბამბის მოყვანის აღორძინებისა, რომელსაც უწინ ადგილი ჰქონდა ბორჩალო ყარაიაზში, და მისი უფრო განვითარებისა. ჯერ-ჯერობით კი ჩვენ ზომები მივიღეთ ზეთის თესლის კაკლით და „სოია“-თი (მუხუდო) შეცვლისათვის, რომელთა დამზადება საქართველოში ახლა შესაძლებელია 300,000 ფუთის რაოდენობით.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს კონიაკის წარმოებას, რომელსაც ნორმალურ პირობებში შეეძლო ჩვენთვის მოეცა ძვირფასი სავალუტო საქონელი, ექსპორტისათვის ასე აუცილებელი. მაგრამ თავისებური სპეციალური პირობების გამო ჩვენი კონიაკის ქარხნები მუშაობდნენ უმთავრესად ყურძნის ნედლ სპირტზე, რომელიც უწინ მოქონდათ სომხეთ-აზერბეიჯანიდან. მაგრამ ვინაიდან ეს შემოზიდვა რამოდენიმე წელიწადია რაც შეწყდა, მახვილი გაეროვნებულ კონიაკის ქარხნებს ნედლეულის მხრით შიმშილი მოელით.

მრეწველობის ერთ საუკეთესო და უფრო მნიშვნელოვან, ხოლო დღევანდელი დროისათვის უფრო ხელსაყრელ დარგთაგანს, წარმოადგენს თამბაქოს წარმოება. თუმცა ახლა ფაბრიკები ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილია თამბაქოთი (მეტწილად აფხაზეთიდანაც) და ქაღალდის მასალით, რომელიც საზღვარ გარეთიდან შემოგვაქვს, მაგრამ მომავალი წლებისათვის მოსალოდნელია სულ მოისპოს ჩვენი თამბაქოს მრეწველობა. საქმე ის არის, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებულმა თამბაქოს მტკიცე ფასებში შესყიდვის მონოპოლიამ თვით საქართველოში და აფხაზეთშიც მეთამბაქოეობა თითქმის არარაობამდე დაიყვანა. ომის დრომდე არსებულ 15,000 თამბაქოს პლანტაციების ნაცვლად ჩვენ 1921 წელში გვაქვს თამბაქოთი დათესილი მხოლოდ 300 დესეტინა. თამბაქოს მაგივრად პურის თესვა დაიწყეს, ხოლო თამბაქოს პლანტატორებმა ბერძნებმა მეტ წილად დასტოვეს საქართველო და აფხაზეთი, და საბერძნეთში გადასახლდნენ. რაც შეეხება თამბაქოს ფაბრიკების მუშაობას, ისინი მუშაობენ არამც თუ უარესად, არამედ უკეთესადაც კი, ვინემ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, რაც შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი ცხრილით:

თამბაქო ფუთობით: იანვარი თბილისი—71,609, ბათომი—83,27, ქუთაისი—არაფერი, სულ 79,636.

თებერვალი: თბილისი—46,058, ქუთაისი არაფერი, ბათომი—10,235, სულ—56,293.

მარტი: თბილისი—53,313, ქუთაისი—5,155, ბათომი—9,661, სულ—67,129.

აპრილი: თბილისი—49,161, ქუთაისი—3,250, ბათომი—10,021, სულ—62,432.

მაისი: თბილისი—45,272, ქუთაისი—11,828, ბათომი—8,906, სულ—66,006.

ივნისი: თბილისი—60,084, ქუთაისი—9,200, ბათომი—7,304, სულ—85,340

ივლისი: თბილისი—68,536, ქუთაისი—9,500, ბათომი—7,304, სულ—85,340.

პაპიროსები: იანვარი: თბილისი—131930,5 ქუთაისი—არაფერი, ბათომი—5,458, სულ—373,883.

თებერვალი: თბილისი — 30359, ქუთაისი—არაფერი, ბათომი—6618, სულ—36977,9.

მარტი: თბილისი— 295 15,5, ქუთაისი — 613 25, ბათომი—2613, სულ—35943,75 აპრილი: თბილისი—29515 5, ქუთაისი 681,15, ბათომი—6600, სულ—36796,65 მაისი: თბილისი—25655,5, ქუთაისი—983,75, ბათომი—9596, სულ—36235,25. ივნისი: თბილისი—27049,8, ქუთაისი—1004,8, ბათომი—8227,5, სულ—36282,13. ივლისი: თბილისი—36380,1, ქუთაისი—1460, ბათომი—7096, სულ—44936,1 აგვისტოში და სექტემბერში, არსებულ ცნობების მიხედვით (მხოლოდ თბილისისა) წარმოებას ეჩნევა უფრო მეტი აწევა.

ჩვენ უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ მრეწველობის სხვა დარგები უფრო ძლიერი და აყვავებულ მდგომარეობაში დაგვხვდებოდა, ვინემ ნამდვილად აღმოჩნდა. საქართველოში საკმაოდ განვითარებულია მეცხვარეობა, რომელიც იძლევა ასი ათას ფუთზე არა ნაკლებ მატყლს, მიუხედავად ამისა, მაუდის და საერთოდ საფეიქრო მრეწველობა გაგვაჩნია მხოლოდ გლეხური შინა წარმოების და რამოდენიმე მოუწყობელ ფაბრიკის სახით. შედეგად—ნაქსოვის თითქმის მთელ ჩვენთვის საჭირო რაოდენობას საზღვარ გარეთიდან ვღებულობთ, ხოლო იქ გაგვაქვს ნედლი მატყლი. ამ დარგში ამიტომ ჩვენ გვიხდება დიდი ენერგიის და შრომის გაწევა ჩვენი ჯარის შესამოსად, მასალად უმთავრესად ვიყენებთ ნედლი „პალატკებს“. „ცენტრო—მკერავმა“ რომელიც ამ დარგს განაგებს, მოკლე დროში შესძლო ოთხი წარმოების მოწყობა, ნაწილობრივ ახალის, ნაწილობრივ ყოფ. სახალხო გვარდიის დარჩენილ სამკერვალო სახელოსნოებიდან; უნდა აღინიშნოს, რომ გვარდიამ უკან დახევის დროს გაძარცვა სახელოსნოების მთელი ქონება და მასალები, ცენტრო-კერვის მუშაობის შედეგები, რომელიც სავსებით არმიას ეწირება, თავის თავად მეტყველებენ. მარტიდან 1 სექტემბრამდე ყველა ოთხივე წარმოებაში დამზადებული იყო:

გიმნასტიორკა — 77,066 ცალი, შალვარი—300 12 ც., ბლუზა—39692 ც., ნიფხავი— 40 381 ც., ბუშლატი—18055 ც., ნაბადი—1253 ც., სათბური—4070 ც., ქუდი—10457 ც., ბოხოხი—2220 ც.

სხვა საგნები: ფრენჩი, პიჯაკი, პალტო—13. 536 ც. სულ 206.708 ც.

ეს ციფრები აბსოლუტურია, რადგან მათი შედარება არ შეიძლება წინა დროის დამზადების ციფრებთან,—მრეწველობის ეს დარგი სრულიად ახალია, ჩვენ მიერაა მოწყობილი. და ყველაფერი ეს მატერიის, ძაფის, მანქანების, ნემსების, ფულის და სხვა საჭირო საგნების ნაკლებობის დროს. უახლოეს მომავალში ცენტრო-კერვის მუშაობა კიდევ უფრო იქნება გაფართოვებული, ვინაიდან მან მიიღო შეკვეთა რუსეთის „ტანისამოსის მთავარ სამმართველოდან“ რომელიც გზავნის ამისათვის ყველა საჭირო მასალებს.

უფრო სუსტადაა სატყავე მრეწველობის მდგომარეობა. საქართველოში (თბილისში) არის 4 უმსხვილესი გაეროვნებული სატყავე ქარხანა 254 მუშის საერთო რაოდენობით. გარდა ამისა, მოწყობილია: 1) ფეხსაცმლის საბჭოთა სახელოსნო, 2) სამხედრო ფეხსაცმლის სახელოსნო, 3) ნაძალადევის სახელოსნო, 4) სახელოსნო ყოფ. ადელხანოვის ქარხნასთან, 5) უნაგირის სახელოსნო—595 მუშის საერთო რაოდენობით. წარმოება შემდეგ ნაირად გამოიხატება:

მსხვილი ტყავი: ნავარაუდევი წარმოება—6170, მაისი—408, ივნისი—1458, ივლისი—1475, აგვისტო—1151

წვრილი ტყავი: ნავარაუდევი წარმოება—6000, მაისი—283, ივნისი—1013, ივლისი—1575, აგვისტო—2386.

ნაყოფიერობის ასეთივე დაქვეითება აქვს ადგილი ფეხსაცმლის დამზადების დარგში: „ბოტინკები“: თვიური ნორმა—37500, ფაქტიური წარმოება: მაისი—10469, ივნისი—4461, ივლისი—4390, აგვისტო—4037, საშუალო თვიური—5839, ნორმის პროცენტი—15.

ქალამანი: თვიური ნორმა—50,000, ფაქტიური დამზადება: მაისი—4610, ივნისი—1322, ივლისი—1291, აგვისტო—715, საშუალო თვიური—1984, ნორმის პროცენტი—4.

სანდალები: თვიური ნორმა—3125, ფაქტიური დამზადება: მაისი—5881, ივნისი—818, ივლისი—818, აგვისტო—2116, საშუალო თვიური—2116, ნორმის პროცენტი—68.

წარმოების ასეთ დაქვეითებას ემატება კიდევ ნედლეულის ამოწურვა. ნედლეულის მცირე მარაგი (სულ 1—1 ნახ. თვის სამყოფი ახლანდელი ინტენსიურობის დროს) და ნედლი ტყავის შოვნის სუსტი იმედი სატყავო ქარხნების საზამთრო კამპანიას საფრთხეს უმზადებენ.

ვ. ავაკოვი.

ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულისათვის

ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილება.

1) ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის დღესასწაულის ორგანიზაციისათვის დაინიშნოს ცენტრალური კომისია წარმომადგენლებისაგან: საქართველოს კომპარტიის ც. კომიტეტისა—ამხ. ა. თუმანოვი, კომ. ახ. კავშირის ც. კ—სა—ამხ. სამურჯიევი, კავკასიის განსაკუთრებული არმიისა—ამხ. ვოსკრესენსკი, საქართველოს წითელი ლაშქრისა—ამხ. ერმანი, პროფკავშირთა საბჭოსი—ამხ. ყურულაშვილი, კ. პარტიის თბილისის კომიტეტისა—ივანოვი და განათლების სახ. კომისარიატისა—ამხ. კ ნდელაკი.

შენიშვნა: ცენტრალურ კომისიაში თავჯდომარეობს ს. კ. პ. ც. კ. წარმომადგენელი.

2) მაზრებსა და რაიონებში იქმნება ადგილობრივი კომისიები იმავე პრინციპების მიხედვით, ადგილობრივი პარტკომის წარმომადგენლის თავჯდომარეობით.

3) ცენტრალური კომისია თავის შეხედულობით ინიშნავს დამხმარე კომისიებს და ცალკე პირებს.

შენიშვნა: დამხმარე კომისიებს და ცალკე პირებს თან უნდა ჰქონდეთ მანდატები ცენტრალური კომისიის თავჯდომარის ხელის მოწერით და ს. კ. პ. ც. კ-ის ბეჭდით შემოწმებული.

4) ცენტრალური კომისია იმუშავებს დღესასწაულის პროგრამას და ხარჯთ-აღრიცხვას, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რევკომი.

5) დღესასწაულის ორგანიზაციისათვის ყველა გასავლებიანი შემოწმებული უნდა იქნეს კომისიის თავჯდომარის ხელის მოწერით და საქართველოს კ. პ. ც. კ-ის ბეჭდით, ხოლო ადგილობრივად ადგილობრივი კომისიის თავჯდომარის ხელის მოწერით და ადგილობრივი პარტკომის ბეჭდით.

6) ყველა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს ევალებათ ყოველმხრივი შემწეობა აღმოუჩინონ ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ და ადგილობრივ კომისიებს.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.
რევკომის მდივანი ალ. ხალაიძე.
6 ოქტომბერი 1921 წ.

ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის დღესასწაულის პროგრამა, დამტკიცებული საქართველოს რევკომის მიერ.

1) ყველაზე დიდი ყურადღება ამ დღეს მიექცეს საბავშვო დღესასწაულის ორგანიზაციას.

2) თბილისში დღით მსვლელობის და მანიფესტაციების მოწყობის დროს სიმძიმის ცენტრი რაიონებში იქნეს გადატანილი.

3) მოეწყოს დღესასწაული ბავშვებისათვის, გაიხსნას ამ დღეს მთელი რიგი საბავშვო დაწესებულებები: საბავშვო სახლი, საბავშვო ბაღი, შრომის სკოლა, კოლექტორი ბავშვებისათვის, სახლი დეფექტიან ბავშვებისათვის, საბავშვო კლუბი, საბავშვო გამოფენა, საბავშვო ბიბლიოთეკა—სამკითხველო. გამოიცეს საბავშვო ჟურნალის სპეციალური ნომერი, საბავშვო სიმღერების და რევოლიუციური ჰიმნების კრებული.

4) გაიხსნას თბილისში რევოლიუციურ—სახატვრო თეატრი, გაიგზავნოს ორი შემხვედრი აგიტ-მატარებელი თბილისიდან ბათუმი და ბათუმიდან თბილისში.

5) ქალაქსა და მაზრის მუშურ ცენტრებში გაიმართოს რევოლიუციური შინაარსის წარმოდგენები და კონცერტები (თუ კარგი დარი იდგება, ღია მოედნებზე).

6) გამოცხადდეს კონკურსი რევოლიუციური შინაარსის თეატრალურ პიესებზე, ბელეტრისტიკაზე და მუსიკალურ ნაწარმოებებზე.

7) გამოიცეს ჟურნალი, 4 წლის თავისთვის მიძღვნილი. გამოიცეს „მკითხველი-დეკლამატორი" და „რევოლიუციის პოეტები". გამოიცეს ბროშურა „ვის ეკუთვნის პროლეტარიატი ძეგლები".

8) მოეწყოს საერთო-სახელმწიფო ზრუნვა წითელ არმიელთა და საქართველოს პროფესიული გამოფენა.

9) გაიხსნას ამ დღეს რაც შეიძლება მეტი მუშათა სახლები.

10) გაიხსნას მუშათა ფაკულტეტი, პროფესიულ-ტეხნიკური კურსები და ქოხი-სამკითხველოები სოფლებში.

11) გაიხსნას წითელ არმიელთა უნივერსიტეტი.

12) მთელს საქართველოში აღინიშნოს ეს დღე ელექტრიფიკაციების, მშენებლობათა და სხვ. მოწყობით.

კომისიის თავმჯდომარე ა. თუმანოვი.

ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, იქ ამაინდება სოციალიზმის, კომუნიზმის, ახალი ქვეყნის ნამდვილი კური. და მთელი აღმოსავლეთი დარწმუნდება რა ნამდვილი მეგობარიც ყოლებია, ისიც დაიწყებს კომუნიზმის, ე. ი. საბჭოთა სისტემის, შემოღებას.

ავილოვი. (აზერბაიჯანი). ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ბაქოს პროლეტარიატმა აიღო ხელისუფლება ხელში და გამოაცხადა აზერბაიჯანი საბჭოთა რესპუბლიკად, მაგრამ შემდეგში და ყველა ცნობილი მიზეზის გამო, რომელთაც მიაწვეს ბაქოში ინგლისელები, აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა დაეცა 1918 წელს და მისი ხელმძღვანელი 26 ბელადი სახელოვანი ამხანაგი კომისარი, რომელთაც დახვრიტეს ინგლისის ჯალათებმა. ინგლისელებმა დაიკავეს ბაქო და გამოაცხადეს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ქაღალდზე. ინგლისელები სასტიკად სდევნიდნენ ყოველგვარ რევოლიუციონურ მოძრაობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ბაქოს პროლეტარიატი დაუცხრომელად განაგრძობდა ბრძოლას. 27 აპრილს იმან აჯანყება მოახდინა და გამოაცხადა პროლეტარიატის დიქტატურა. კონტრრევოლიუციის ყოველივე ცდა ჩაქრობილ იქმა. ეხლა მთელს აზერბაიჯანში ბატონობს საბჭოთა ხელისუფლება, რომლის აღმშენებლობაში მონაწილეობს ამ ქვეყნის ღარიბი გლეხობა და მუშები.

ოში ხაია. (იაპონიის კომუნისტური პარტია) ესალმება კონგრესს იაპონიის ახლად დაარსებულ კომუნისტური პარტიის სახელით. ის აღნიშნავს კომპარტიის მუშაობის აუწერელ სიძნელეს იმის გამო, რომ იაპონიაში მძვინვარებს იაპონიის იმპერიალიზმი, რომელმაც ჩაყლაპა კორეა და ემუქრება მრავალრიცხოვან ჩინეთს და მისი ხალხების უსაზღვრო ექსპლოატაციის საშუალებით უნდა გაამდიდროს მარტო იაპონია. ამის გარდა იაპონიის იმპერიალისტებს უნდათ გამოიყენონ ჩინეთის მრავალ რიცხოვანი მოსახლეობა, როგორც იარაღი ყველა ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. აი რატომ არის დაინტერესებული საერთაშორისო პროლეტარიატი იაპონიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლის წარმატებით.

ძლიერ აღელვებულად აღწერს ამხ. ხამჩუნი (კორეა) იაპონიის უღელ ქვეშ მყოფ კორეის მუშების მდგომარეობას. იაპონიის მიერ ანექსიის შემდეგ, კორეა გადაიქცა მის იმპერიალისტურ მოქმედებათა სათარეშოდ. დღეის მეურნეობის ქვეყანა გამოუვალ იქმნა ამ სიმძიმისაგან და ხან შეიცვალა ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობები. ათი წლის განმავლობაში იაპონიის პოლიტიკა კორეაში იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ ძალებისაგან მას სისხლი ეწოვა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კორეის მუშები და გლეხები დაიმონავს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა. არა ნაკლებ მონობას განიცდიან კორეელები პოლიტიკურად. კორეის მშრომელები იმყოფებიან ყოველივე კანონს გარეშე. საკმარისია აღინიშნოს, რომ იაპონელის მკვლელობისათვის კორეელს სჯიან სიკვდილით, იაპონელი კი ამ გვარივე ბოროტმოქმედებისათვის მხოლოდ ჯარიმას იხდის. თუ დავუჯერებთ იაპონიის სტატისტიკას, კორეაში 17 მილიონ კაციდან ნახევარი შედგებს უმიწო-წყლო გლეხებს და მუშებს. ასეთია იაპონიის ათი წლის ბატონობის შედეგები.

სასოწარკვეთილებამდის მიყვანილნი კორეის მშრომელი მასები აჯანყდნენ და ამბოხება მოედო კორეის ყველა კუთხეებს. ძლიერი სისასტიკით ჩააქრეს იგი. აუწერელ სიმხეცეს ჰქონდა ადგილი ამ აჯანყების ჩაქრობის დროს გულცივი და გულგრილი ინგლისელი ჟურნალისტებიც აღწერდნენ იაპონელების სისხლიან საქმეებს კორეაში. ამ ხანად კორეის ციხეებში დამწყვდეულია 150,000 რევოლიუციონერი, ორი წლის განმავლობაში მოკლულ იქნა 80,000. კორეის ხალხის მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას არავინ დამხმარე არა ჰყავს. მათ მოელის გადაგვარება, ან უმწეო ბრძოლაში სისხლისაგან დაცლა. ძლიერი ერთი დაიკავს გამოუვალ. კორეის მშრომელი მასები ხედავენ თავის განთავისუფლებას მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებაში და ბოლშევიკური ინტერნაციონალი უნდა დაეხმაროს მათ და უხელმძღვანელოს ამ მოძრაობას.

მან-ტან-ლინი (ჩინეთის კომუნისტური პარტია) მოითხოვს მეტს ყურადღებას ჩინეთის მიმართ, ვინაიდან ეს ქვეყანა თავისი მრავალ რიცხოვან მოსახლეობით შეიძლება გახდეს მსოფლიო იმპერიალიზმის იარაღი, როგორც იარაღი მოქმედი რევოლიუციის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ჩინეთის მუშები ამოძრავდნენ, რევოლიუციონური მღელვარება მათში ძლიერდება, და ევროპის პროლეტარიატი სერიოზულად უნდა მოეკიდოს ჩინეთის პრობლემას.

კარა-გად-ევი (თურქესტანი) თვლის აღმოსავლეთის საკითხში,—ამბობს იგი,—ჩვენში, აზიაში, არის ინგლისის, ან მეფის (კოლონიის) საკითხი. აქ ამხანაგები ამბობდნენ, რომ საჭიროა ფრთხილი მოქმედება, რომ ჯერ უნდა მოვემზადოთ და სხვ. მე შემიძლია ვსთქვა, რომ აღმოსავლეთის ხალხებს მოქმედების თავისებური ტაქტიკა აქვთ, აქ საჭიროა სწორედ ყველაზე ფრთხილი ტაქტიკა. ჩვენ შევქმენით სწრაფად ორგანიზაციულად 10.000 მუშა, რომელიც სამუშაოდ მოხდენდა ინგლისის მუშები ყველა ქვეყნის მუშებთან ერთად შესძლებენ აღმოსავლეთის დამონებულ ხალხების საერთო მიზნის გამონახვას. ახლო აღმოსავლეთი არის ინდოეთის და ჩინეთის კარიბჭე. ახლა აღმოსავლეთში ყოველი რევოლიუციონური მოძრაობა უნდა იყოს პირველად წმინდა ნაციონალური. ამ მოძრაობას მხარი უნდა დაუჭიროს არა მარტო რუსეთმა, არამედ ყველა სხვა ქვეყნის მუშებმაც. ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობენ ძალიან დამონებული მუშები, რომელნიც იმყოფებიან სოციალურ წინააღმდეგობაში ინგლისის ქვეშ და იციან უნდა განთავისუფლდნენ იმათ გაბატონებისაგან რაც უნდა დაჯდეს ეს, და ეს იქნება ახლო აღმოსავლეთის მშრომელთა სოციალური განთავისუფლების დასაწყისი.

სამხრეთ აფრიკის კომუნისტურ ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, ... მოსახლეობის საკითხს. სამხრეთ აფრიკის ... მარქსი აღმოაჩნდა მონობა ზანგების ... ზანგების მონობისათვის ... ჩვენის აზრით აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გაიწიოს და შესდგომა და ზანგების საკითხს მიაქციოს უფრო სერიოზული ყურადღება, რომლის ღირსი, უეჭველია, ის არის. ამ საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო სამხრეთ აფრიკისათვის, არამედ ამერიკისთვისაც, სადაც ამას წინად ... შეტაკებაში სასტიკად მოექცნენ შავებს. შემდეგ ამხანაგი დაწვრილებით ჩერდება შავების (ზანგების) მუშაობის პირობებზე, რომელნიც საგრძნობლად განსხვავდებიან თეთრ მუშათა შრომის პირობებისაგან. არის სამუშაო ქირის ორგვარი სისტემა—თეთრებისა და შავებისათვის; თუ მხედველობაში მივიღებთ თეთრების შავებზე დიდ დამოკიდებულებას, რაიცა გამოიხატება შეფარდებაში 1:10, შეიძლება წარმოვიდგინოთ პროლეტარიატის ბრძოლის მთელი სიძნელე სამხრეთ აფრიკაში. შავები წარმოადგენენ მორჩილ მასალას კაპიტალისტებისათვის, მათ არ აქვთ საკუთრება, არ აქვთ ნაციონალური გრძნობა, არ აქვთ არავითარი ნათესაური კავშირი. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ ამერიკის ზანგთა პროლეტარიატზე. ამხანაგი მოითხოვს, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიწყოს ზანგთა საკითხის სერიოზული შესწავლა ამერიკაში, ინდოეთში და სამხრეთ აფრიკაში.

ამხანაგ ფულერი რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნებს შეიქდა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის საკითხი საკმაოდ არ იყო გაშუქებული და ამას. კოლაროვის განმარტების შემდეგ, რომ არსებითად ეს საკითხი განხილულ იქნება კომინტერნის მეორე კონგრესზე, მესამე კონგრესმა ერთ ხმად დაუჭირა მხარი პროტესტს ევროპის და ამერიკის იმპერიალისტების სახალხოშორისო ქვეყნებისადმი მიმართულ მტაცებლურ პოლიტიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი

მოსკოვი, 2 ოქტომბერი (რადიო) გერმანულ ენაზე (ჟამაჟყისი არ არის მიღებული). ამ შეთანხმებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა რუსეთი ხელს იღებს ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლაზე აღმოსავლეთში. მაგრამ არ არის გამორკვეული, სახელდობრ რანაირია ინგლისის ინტერესები ახლობელ აღმოსავლეთში. საიდან უნდა იცოდეს ჩვენმა წარმომადგენელმა თეირანში, რა ინტერესები აქვს ინგლისს სპარსეთში და შემდეგ თუ არა ინგლისის მთავრობის განზრახვაში კეთილმოსურნე და მოკიდებულება დაცვაში რუსეთთან მიმართ? ავღანეთში იმყოფება ჩვენი მისია და ჩვენ არ ვძალავთ, რომ არ გვაქვს განხრახვა არც ომის, არც სხვა სახის დამპყრობლობის. არის თუ არა ეს ინტერესები მოსალოდნელი ... ინგლისის ინტერესებს? როგორ შეიძლება ინგლისის ინტერესებს ზიანი მიაყენოს აღმოსავლეთში ჩვენმა პოლიტიკამ, რომლის მიზანია მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარება ჩვენს მეზობლებთან. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობამ არ შეიძლება იცოდეს, თუ რა ინტერესები ისახავს ინგლისი აღმოსავლეთში. სულ ერთია რა იყოს, საბჭოთა მთავრობას კონკრეტულ მოლაპარაკების გარეშე არ შეუძლია გამოარკვიოს, თუ რა ნაირია ინგლისის ინტერესები ახლობელ აღმოსავლეთში...

საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის დამოკიდებულების გაურკვევლობა მოითხოვს აღმოსავლეთის საკითხების გამო კონკრეტულ მოლაპარაკებას, ვინაიდან ეს გაურკვევლობა ნიადაგს ქმნის სხვა და სხვა კონფლიქტებისათვის. ინგლისის მთავრობამ კი გამოურკვევლობა, როგორც ეს ჩანს კერზონის ნოტიდან. ინგლისის პრესაში, რომელიც ახლობელ პარლამენტში რუსეთზე დაწყებულ უმიდვეობაზე ლაპარაკობდა, ეტყობა ნიადაგი სინჯავდა, თუ რამდენად შესაძლოა სიმშვიდის საბჭოთა რუსეთი. უკანასკნელი ნოტით ინგლისის მთავრობა ცდილობს გამოარკვიოს,—სუსტი ვართ ჩვენ თუ ძლიერნი და ამგვარად გაიგოს, თუ რის მიხწევა შეიძლება რუსეთთან. როდესაც მთავრობის რწმუნებულმა ეს ნოტა გადასცა გ. ს. სახ. კომისარს, მან განაცხადა, რომ ეს ნოტა არ იქნება გამოქვეყნებული და თვითონ ვა იგი არ გამოიყენებით რუსეთში მანამდე, სანამ მას ლონდონის პრესა არ გაიცნობდა, რათა შეუძლებელი ყოფილიყო ცილისწამება საბჭოთა რუსეთზე, რომლის წინააღმდეგ ახლა მოქმედებენ საფრანგეთის და პოლონეთის ავანტიურისტ—პოლიტიკოსები. ინგლისის მთავრობა ყოველთვის ცდილობს მოახდინოს ისეთი შთაბეჭდილება, თითქო არასდ არ იყოს უფრო მშვიდობის მოყვარე მთავრობა, ვინემ ინგლისის მთავრობაა. მაშინ როდესაც 7 სექტემბრის ნოტა თითქმის ნაბეჯრა იყო ... გამოცემული. ეს ცოტაა: ლორდ ჩერჩილის ჯგუფმა ამას წინად თავი ისევ წამოყო. ინგლისის სამხედრო მინისტრმა თავის სიტყვაში გაბედა იმ ქვეყნის ხელმძღვანელებს, ტროცკის და ლენინის შესახებ, რომელთან ინგლისმა ხელშეკრულობა დასდო, ლაპარაკი, როგორც ბოლშევიკებზე, რომელნიც მოკლულ ქალებიდან მოტაცებულ ოქროს და ძვირფასეულობის ხარჯზე ცხოვრობენ. ჩვენ არ ვფიქრობთ ვინმეს შევჩივლოთ ამ ჯენტლმენის სიტყვის ტონის გამო. ჩერჩილს, რომელიც დემოკრატობიდან იმპერიალისტი გახდა, არ შეუძლია ლენინის პატივს ჩირქი მოსცხოს. მაგრამ ინგლისის მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ პროლეტარიატი ყველაფერს გაიგებს. სიმშვიდემ საბჭოთა რუსეთში კვლავ დაიმედა კაპიტალისტები. იმპერიალისტების იგ რიში, პოლონეთის ულტიმატუმის სახით, მოგერიებულ იქნა: ეს საფრანგეთს იძულებულს ხდის დამალოს თავისი განზრახვები, მაგრამ ინგლისი გრძნობს ნიადაგს ფეხქვეშ და მზად არის დახმარება გაუწიოს. ინგლისში თავი წამოჰყო ავანტიურისტების ხროვამ. ემხნევა, რომ შემდეგი თვეები იქნება უდიდესი დ ქ მ ვის და დიპლომატიური ინტრიგების თვეები. პირველ იერიშებზე ჩვენ ლაზრიერი სიმტკიცით ვუპასუხეთ. ჩვენ შეგვიძლია შემდეგი ომიც მოვიგოთ და მხოლოდ მაშინ მივიღოთ დამშვიდებით დახმარება, როდესაც კაპიტალისტების მთავრობები შეიგნებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია თავის დაცვა და მზად ვართ ღირსეული პასუხი გავსცეთ ყოველ თავდასხმას. საბჭოთა მთავრობა განაგრძობს თავის მშვიდობიან პოლიტიკას, მაგრამ მას მხოლოდ მაშინ მოჰყვება განსაზღვრული შედეგები, როდესაც მუშები და გლეხები მთელი ლონით მოეხმარებიან სიმშვიდესთან, სიცხვიანთან და წითელი არმიის განმტკიცებისათვის ბრძოლას (კარლ რადეკის წერილიდან).

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის მე 4 სესია

მოსკოვი, 6 ოქტომბერი (რადიო). 6 ოქტომბერს კრემლში გაიხსნა სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის მე 4 სესია. სესიის მთავარი საკითხები: სასურსათო გადასახადი, სიმშილთან ბრძოლა და შრომის ბეგარის საკითხი.

სვიდერსკის მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ

სასურსათო გადასახადის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. სვიდერსკი, ამხ. სვიდერსკი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს კონფლიქტებს ადგილი არ ჰქონია. ივანოვის გუბერნიიდან ყველა სახის გადასახადი აკრეფილია 40 პროცენტით, ტულის გუბერნიიდან 88 პროც., ორლოვიდან—69 პროც., ბრიანსკის, ვიტებსკის, მოსკოვის და ტვერის 50-დან 60 პროცენტამდე. მოშინავე გუბერნიების გამოკლებით ჩვენ ვიღებთ 15 პროცენტს დავალებიდან. საერთოდ, სასურსათო კამპანია ტარდება უფრო მკვიცედ, ვინემ განა წელს. ამ 1919 წლის სექტემბერს ჩვენ დავამზადეთ 500,000 ფუთი კარტოფილი, 1920 წ. 1 მილიონ ფუთზე ცოტა მეტი, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის კი ჩვენ უკვე გვაქვს 20 მილიონი ფუთი კარტოფილი, დღეს კი ეს ციფრი, ვგონებ უფრო მეტი შეიქნა, ხორცის დამზადების საქმე უკეთდება: მოსალოდნელი იყო 987.000 ფუთი, შეკრებილია 366.000 ფუთი. კოოპერატიულ საქონლის გაცვლის გზით მოსალოდნელი იყო 827.000 ფ, შეკრიბა კი 159.000 ფ. მიუხედავად ამისა შეიძლება ვიმედოვნებდეთ, რომ შეკრიბება 100 პროცენტი ხორცის გადასახადისა. სარძე პროდუქტის შეკრება, ანგარიშის მიხედვით, განზრახული იყო 2.3208.000 ფუთის, რომლიდანაც, შეკრიბა კი 630.000 ფუთი, რაც შეეხება კვერცხებს, 415.000.000 ცალის მაგივრად შეკრებილია მხოლოდ 105.000.000 ცალი. ყველა ეს აიხსნება იმით, რომ გარეშე წლების შუაწელს შესახებ დეკრეტი მხოლოდ მარტში გამოვიდა. გაზაფხულის სეზონი ხელიდან გაუშვით, სასურსათო პოლიტიკის შეცვლა დაგვეორდა და შუა სეზონში პარტიების ახლად შეიწვა მოგვიხდა. დამზადების გეგმით, ჩვენ უნდა შევკრიბოთ: 160 000,000 ფუთი პური, 45.000.000 ფუთი საკვები და სახალხო სასურსათო კომისარიატის მარაგისთვის—27.000.000 ფუთი, ე. ი. სულ 232.000 000 ფუთი, სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის მიმდინარე სესიის დანიშნულება აძლიოს ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე რესპუბლიკის მთელს მოსახლეობას სასურსათო გადასახადის მთელი 100 პროცენტის ასრულებისათვის.

ამხ. კამენევის მოხსენება.

თავის სიტყვაში სასურსათო გადასახადზე ამხ. კამენევმა სთქვა: „ჩვენი მტრები იმედს ამყარებენ, რომ ბრძოლის პირველიდან სასურსათო აღმშენებლობაზე გადასვლისას, ჩვენ ვერ ვიპოვით სწორე გზებს მშვიდობიანი მუშაობისათვის, სასურსათო გადასახადის გატარებამ უნდა შეამოწმოს ჩვენი მტრების ეს იმედები. გამოაშკარავდა, რომ, სახელმწიფოს სჭირს მობრუნებით, ჩვენ ნამდვილად დავიძარით ადგილიდან ღრმა წყლის მიმართულებით და ჩვენი გემი შესძლებს საწყისი ცურვას სასურსათო გადასახადის შემოღებით. ჩვენ ამნაირად გლეხობასთან, დავიდეთ დაუწერელი ხელშეკრულობა, ისეთის მაგვარი, რომელიც შეჰკრა პროლეტარიატმა კომუნისტურ პარტიასთან 1918 წელს. სასურსათო გადასახადის შეკრება ტარდება არა იძულებითი ზომებით. პოლიტიკური შედეგები ამართლებენ ჩვენს პოლიტიკას, მაგრამ მათ არ უნდა დაჩრდილონ სამეურნეო შედეგები. სასურსათო გადასახადის შედეგებ: ჩვენი მოთხოვნილებების მხოლოდ ნახევარს, მიუხედავად გუბერნიების გამოკლებით სასურსათო გადასახადი შეადგენს შემცირებულ მცირე ნაწილს ჩვენი მოთხოვნილებისას, დაუწერელი ხელშეკრულება გლეხებთან, დარღვეული იყო მხოლოდ კარტოფილის მიმართ, რომელზედაც გადასახადი გადიდებულია 1 1/2-ჯერ. სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტმა გლეხებს უნდა აუხსნას, რომ კარტოფილის საშუალებით გადასახადის გადიდების მიზეზი სიმშილით გამოწვეული უბედურებაა. სასურსათო გადასახადის განაკვეთი ურყეველი იქნება".

კაპიტალიზმის სამეფოებში

იტალია

გაფიცვების ტალღა იტალიაში

მოსკოვი, 6 ოქტომბერი (რადიო) ტრიესტის ვერფებზე, ლოკაუტის საპასუხოდ იფეთქა საერთო გაფიცვამ, რომელიც მეზობელ ოლქებსაც მოედო. მოძრაობას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. სამუშაო ხელფასის შემცირების გამო გაიფიცნენ ნავთსადგურების მუშები.

პოლონეთი

კომუნისტების დევნა

მოსკოვი, 6 ოქტომბერი (რადიო). ვარშავიდან იტყობინებიან: სახალხო პარტიების ბურჟუაზიულმა პარტიამ შეიტანა პოლონეთის სეიმში კანონპროექტი, კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული. ყოველ გვარ კომუნისტური სიტყვიერ და ბეჭდვითი პროპაგანდას პოლონეთში კანონ-პროექტი სახელმწიფოებრივ ღალატად აღიარებს.

საფრანგეთი

[illegible] შეიარაღება

მოსკოვი, 6 ოქტომბერი (რადიო). პარიზის ახლო მდებარე სამეტალურგიო ფაბრიკის მუშებმა, რომელნიც საომარ მასალას ამზადებენ, შესწყვიტეს მუშაობა და განაცხადეს, რომ განაახლებენ მუშაობას მხოლოდ მას შემდეგ, როცა ფაბრიკის მმართველობა უარს განაცხადებს საომარ მასალის დამზადებაზე.

გერმანია

გაფიცვა ბერლინში.

ნაუენი, 5 ოქტ. (რადიო). ბერლინის რესტორანების, სასტუმროების, კაფეების და საკონდიტროების მოსამსახურეთა გაფიცვამ სერიოზული ხასიათი მიიღო. კონფლიქტის სალიკვიდაციოდ შედგენილმა შემთანხმებელმა კომისიებმა განაცხადეს, რომ მათი მუშაობა სრულიად უნაყოფოდ დარჩება, თუ გაფიცულები ისეთ ექსცესებს ჩაიდენენ, რანაირიც მათ დაუშვეს უკანასკნელ დღეებში. დიდი რესტორანების და სასტუმროების პატრონებს განზრახვა აქვთ ხანგრძლივად დახურონ რესტორანები და გახსნენ ქალაქის სხვადასხვა ალაგას 80-მდე მოძრავი რესტორანი, რომელნიც იმუშავებენ პოლიციის დაცვით და დახმარებით. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ ბერლინი მოსულ ხალხით ივსება. გაფიცვის წყალობით, მუნიციპალიტეტი ყოველდღიურად კარგავს არა ნაკლებ 100 ათას მარკას სხვადასხვა გადასახადებისას.

ქრონიკა

◆ **ქალაქის ცნობათა ბიურო.** 1-ლ ოქტომბრიდან სადგურის მოედანზე, სადგ. პირდაპირ, ყოფილ სასტუმრო „ზაპადის" შენობაში გახსნილია ქალაქის რევკომის ცნობათა ბიურო, რომელიც აძლევს ჩამოსულებს უფასოთ ყოველ გვარ ცნობებს ქალაქის ყველა დაწესებულებების და ცხოვრების შესახებ. მუშაობა სწარმოებს განუწყვეტლივ დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

◆ **რევოლიუციის მუზეუმი.** ამ ჟამათ რევოლიუციის მუზეუმი მოთავსებულია სასახლის პატარა შენობაში. არ მოიძებნება ადგილი ძვირფასი შეგროვილ მასალის დასაწყობათ. ამიტომ მუზეუმი ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთათვის დასათვალიერებლათ მიუწვდომელია. სახალხო განათლების აკადემიური ცენტრის მიერ აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე, რათა რევოლიუციის მუზეუმს დაეთმოს სათანადო ბინა.

◆ **გამოფენა.** შინაგან საქმეთა კომისარიატში უკვე შეუდგნენ მასალების დამზადებას რესპუბლიკის ფარგლებში გამოფენის მოწყობათვის. გამოფენაზე ნაჩვენები იქნება სურათი როგორც ცენტრის მუშაობის, აგრეთვე კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებების და ორგანიზაციებისა, დიაგრამები, რუკები, ფოტოგრაფიული სურათები და სხვა.

◆ **რევიზია.** შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ დანიშნულია რევიზია სიღნაღის ზოგიერთი რაიონულ სამმართველოებისა. რევიზიის მოხდენა მინდობილი აქვს სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება სიღნაღის მაზრაში.

◆ **საკურორტო სეზონის დამთავრება.** ბორჯომ აბასთუმნის რაიონში საკურორტო სეზონი დამთავრდა ყველა ავადმყოფები დაბრუნებულია, სანატორიუმები დაკეტილი. კურორტის დირექტორი ექიმი ზანდუკელი თბილისში დაბრუნდა.

რესპუბლიკის ნავთ-სადგურების მდგომარეობა

(საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობა)

1917 წლის დამლევიდან რესპუბლიკის ნავთსადგურები არ შეკეთებულა და ამ ჟამად როგორც ნავთსადგურები ისე ზედნაშენი ფრიად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

ბათუმის ნავთსადგურში უცხოელების ყოფნის დროს 18—19 წლებში პორტში ჩაძირულ იქმნა რამოდენიმე გემი, რომელიც ამ ჟამადაც ხელს უშლიან დიდი გემების მოძრაობას ნავთსადგურში.

პირველ რიგში ნავთსადგურის რიგიანად ამოქმედებისათვის საჭიროა მისი ძირის დათვალიერება, ნაპირის ზვინის გაზომვა, ჩაძირული გემებისაგან ნავთსადგურის განთავისუფლება, ქალაქის ნაპირის გამაგრება და სანაპირო კედლების აშენება და სხვ.

ამ ნაირივეა ფოთის პორტის მდგომარეობაც. თუმცა ის ნაკლებათაა დაზარალებული, ვინემ ბათუმის პორტი, რადგანაც აქ უცხოელებს არ მოუყენებიათ ისეთი ზიანი, როგორიც ბათუმისთვის. მაგრამ პორტის სანაპირო ნაწილი ა. წ. 25 იანვრის ღელვამ მეტად დააზიანა. ნავთსადგურის სიღრმე სიღიდეზე მეტად ცუდი მოქმედება იქონია 1920 წლის ნოემბრის ხანგრძლივმა ღელვამ, რის შემდეგაც ნავთსადგურის სიღრმე განისაზღვრება 6—8 ფუტით და ნაპირთან ახლოს კი საკმაოდ ვიწრო შემოსავალია გემებისათვის ზღვის სიღრმე მეტად პატარაა. ზღვის ფსკერის აწევა ხდება მუდმივი ძლიერი ღელვისაგან, რომელიც ჩრდილოეთის სანაპიროზე სტოვებს დიდძალ ქვიშას. პორტი სრულიად განადგურებისაგან დასახსნელად საჭიროა საჭირო ზომების მიღება მის გასაწმენდათ.

ფოთში საჭიროა შემდეგი მუშაობის შესრულება—პორტში შემოსავლელის გაღრმავება, ჩრდილოეთის სანაპიროს გაწმენდა, ქვიშის და შავი ქვისაგან, რაიცა ხელს უშლის გემების ნაპირზე მიდგომას, ელექტრონის განათების მოწყობა და სხვ.

სოხუმის ნავთსადგური არ არის მოწყობილი დიდ გემების მისაღებათ, მაგრამ არც ნავთსადგურის მოწყობილობა, არც სიმაღლე ხელს არ უწყობს ამას. ამიტომ საჭიროა შედგეს პროექტი სოხუმის ნამდვილ პორტად გადაქცევისა და გადაიდის პროექტი კულტურ ნაირჯერ ამ მხრივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ წითელი ტეხნიკური და ეკსპლოატაციო ძალა ნავთსადგურებისა გადაეცა ნავთსადგურების სამმართველოს.

ამ ჟამად რესპუბლიკის ნავთსადგურებს აქვს შემდეგი ზღვით გადამზიდავ გადამცემი საშუალებანი: ბათუმის პორტს—კატერი „თამარა", 240 ძალიანი, „ზვიადი" 60 ძალიანი, „ოლომი" 16 ძალიანი, „მათეუს" 12 ძალ., „წმ. ნიკოლოზი" 24 ძალ., „წმ. გიორგი" 40 ძალ., ნავები ჩამოდგმულ მატორებით 2,5 ძალ. თვითეული.

ფოთის პორტს: კატერი „პორთო-ჩო" 360 ძალ., ცეცხლის მქრობელი კატერი „ომი" 100 ძალ., გემი „მიხეილი", კატერი „ოლენკა", „თბილისი", „ნიკა", „რუსთაველი". „კოლხიდა", „მერცხალი", „მონადირე". 6-დან 24 ძალამდე. ზღვები „ქართლი",—„კომინტერნის მე 3 კონგრესი", „ცხენის წყალი", „ილიჩ ჭავჭავაძე", „ოქრო ვერძი", „სოხუმი", „სერ. წულუკიძე" 12-80 ძალამდე და ოთხი ცალი ბარჟა.

ნავთსადგურების მოქმედება გამოიხატება შემდეგში: რემონტიდან გამოყვანილ იქმნა 7 ნავ. ბურჯელი, ბათუმის პორტში ხელ-ახლად მოწყობილ იქმნა მეხანიკური სახელოსნო, ამ ჟამად სწარმოებს რემონტი ოთხი ნავთ-ბურჯელის 194 ძალის რაოდენობისა.

გემების მოძრაობა გამოიხატა შემდეგში—მარტიდან სექტემბრამდე შემოვიდა ბათუმში 511 გემი—გავიდა 497. ფოთში შემოვიდა 68 გავიდა 58 შემოტანილი იქმნა საქონელი მაისიდან—სექტემბრამდე ბათუმსა და ფოთში—200445 ფუთი—გატანილ იქმნა 79158 ფ.

პორტების მმართველობის განკარგულებაში არის აგრეთვე საწყობები პაკგაუზები, ღია მოედნები საწყობისათვის და სხვ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად № 27.

შრომის განყოფილებებს, ინსპექციებს და სამაზრო რევკომებს.

შენიშნულია, რომ მთავრობის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები ხშირად მიმართავენ შრომის ბეგარას ამა თუ იმ საზოგადო სამუშაოს შესასრულებლად და ამ მიზნით გამოჰყავთ სამუშაოთ მცხოვრებლები.

შრომის კომისარიატს, რა თქმა უნდა, არა ფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ საჭირო საზოგადო საჭიროებების საქმეების შესასრულებლად ადგილობრივ ორგანოებმა მიაჩინონ ნაწილობრივი მობილიზაცია მცხოვრებლებისა, მაგრამ ამასთანავე მობილიზაციის გამტარებელ ორგანოთათვის სავალდებულოთ მიჩნია, ასეთი მობილიზაციები ხდებოდეს მხოლოდ კომისარიატის ნებართვით, რაიც შესაძლებლობას მოგვცემს ცენტრში გაეწიოთ სხვა და სხვა კუთხეში მუშა ხელის საჭიროებას და ამასთანავე შევეტანოთ სიცხადე ამ საქმეში.

ზემოხსენებულის მიხედვით წინადადებას გაძლევთ თვითეულ შემთხვევაში, როცა საქმის სიდიდე მოითხოვს შრომის ბეგარის გამოცხადებას, წარუდგინოთ შრომის კომისარიატს დასაბუთებული მოხსენება მუშა ხელის ნაწილობრივ მობილიზაციის გეგმისა და მიზნის შესახებ და მხოლოდ მაშინ შეუდგეთ მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას, როცა ამისათვის შესაფერ ნებართვას მიიღებთ შრომის კომისარიატისაგან, ხოლო ცალმხრივ მობილიზაციების შესახებ კი რაც შეიძლება დაჩქარებით წარმოადგინეთ ცნობები ამ ცირკულიართან დართულ ფორმის მიხედვით.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.
საქმეთა მმართველი მ. ბეჟანიშვილი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

თანახმად პურზე ნატურ-გადასახადის დეკრეტის № 60 მე 5 მუხლისა და კარტოფილზე და ბოსტნეულობაზე ნატურ გადასახადის დეკრეტის № 71 მე 6 მუხლისა ამით წესდება ქვემოთ მოყვანილი ხარისხები მოსავალზე:

ყოველგვარ ხორბლეულობაზე, თანახმად გადასახადთა განაკვეთის ნუსხისა, რომელიც მოყვანილია დეკრეტის № 60 მე 3 მუხლში.

რ ა ი ო ნ ე ბ ი	მოსავლის ხარისხი	
	№ №	ფ უ თ ო ბ ი თ
ახალქალაქის მაზრა:		
ა) დაბლობი ნაწილი	VIII	. . 61—65
ბ) მთიანი „	IV	. . 41—45
ახალციხის მაზრა:	VI	. . 51—55
ბორჩალოს მაზრა:		
ა) დარბაზის, ქვეშის, ოფრეთის, და გიულბახის სოფ. და საზ. . . .	I	. . 30—დის
ბ) კაჩაგანის, კირიხლოის, სადახლოს, ლამბალოს და კერპალოს სოფ. და საზოგ	VIII	. . 61—65
გ) ფხრალოს და ბაიდარის სოფ. და საზ	XI	. . 76—80
დ) მაზრის დანარჩენი ნაწილი . .	V	. . 46—50
ზემო სვანეთი	VI	. . 51—55
გორის მაზრა	V	. . 46—50
დუშეთის მაზრა:		
ა) საგურამოს, მუხრანის და წილკნის რაიონები	V	. . 41—45
ბ) მაზრის დანარჩენი ნაწილი . .	VI	. . 51—55
ზუგდიდის მაზრა	V	. . 41—45
ქუთაისის მაზრა	VI	. . 41—45
ლეჩხუმის მაზრა	VI	. . 51—55
ოზურგეთის მაზრა	IV	. . 41—45
რაჭის მაზრა.	IV	. . 41—45
სენაკის მაზრა	IV	. . 41—45
სიღნაღის მაზრა:		
ა) ალაზნის რაიონი	VIII	. . 61—65
ბ) მაზრის დანარჩენი ნაწილი . .	V	. . 46—50
თელავის მაზრა:		
ა) ალაზნის გამოღმა (მარჯვენა ნაპირა) რაიონი	V	. . 46—50
ბ) ალაზნის გაღმა (მარცხენა ნაპირა) რაიონი		. . 61—65
თიანეთის მაზრა	VIII	. . 46—50
თბილისის მაზრა:		
ა) წალკის რაიონი	VIII	. . 61—65
ბ) მანგლისის „	VI	. . 51—55
გ) მაზრის დანარჩენი ნაწილი . .	IV	. . 41—45
შორაპნის მაზრა	VI	. . 51—55
სამხრეთ ოსეთი	V	. . 46—50

თანახმად გადასახადების განაკვეთის, ნუსხის, რომელნიც მოყვანილია დეკრეტი № 71 მე 4 მუხლში კარტოფილზე წესდება შემდეგი ხარისხები:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	მოსავლის ხარისხები.		შენიშვნა:
	№ №	ფუთობით	გადასახადის განაკვეთი ერთ დესეტ ნაზე
ა) ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, თბილისის, მაზრები და სამხრეთ ოსეთი	IУ	500 მეტი	60 ფ.
ბ) დუშეთის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, რაჭის, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, შორაპნის მაზრები და ზემო სვანეთი	III	410 500	45 ფ.

თბილისი 26 სექტემბერი 1921 წ.
სახალხო სასურსათო კომისრის მოვალეობის აღმასრულებელი
ნ. ამირაღოვი.
სახ. მიწად მოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრები:
ვ. კანდელაკი ხ. ტიმოფეევი.
მმართველი ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი ვ. გოგორიანი

მაზრის რევკომის ანგარიში

1921 წლის . . . . დან . . . . მდე მიმხდარ შრომის ბეგარაზე და მობილიზაციების შესახებ.

[illegible]	რა სამუშაოსთვის	მოთხოვნილ მუშა ხელის რიცხვი			[illegible]		სამუშაოს ვადა		[illegible]	შენიშვნა
		კაცი	ქალი	სულ	[illegible]	[illegible]	დან	მდე	[illegible]	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ხელმოწერა . . . .

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.
— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიშელის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3-მე რაიონის ბიურო— ლაბაზი. კახეთის მოედანი. 5—58
— მე-4-ხე რაიონის ბიურო— ლა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენო ში. 9—52.
— მე-5-თე რაიონის ბიურო—ავ ჭუხა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ შირის ცეკა—რუსთაველის პრ.

სარედაქციო კოლეგია.

ტირაჟი 10.000 ნ. დ. ხ. ტ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა რუსთაველის პ. № 4.